პრეზიდენტი
ჰენრი ბ. აირინგის მიერ
პირველ პრეზიდენტთა
პირველი მრჩეველი



მადლიერების არჩევანი

ზეციერი მამა გვირჩევს, რომ ყოველთვის ვიყოთ მადლიერები (იხ.1 თესალონიკელთა 5:18), და ის გვთხოვს, რომ ჩვენ გამოვხატოთ მადლიერება ყოველი მიღებული დალოცვისთვის (იხ.მოძღვრება და აღთქმები 46:32). ჩვენ ვიცით, რომ ყოველი მისი მცნება მიზანმიმართულია ჩვენი ბედნიერებისათვის, და ჩვენ ისიც გვაქვს გააზრებული, რომ მცნებების დარღვევას მოჰყვება უბედურება.

ასე რომ, უბედურების თავიდან ასაცილებლად ჩვენი გულები სავსე უნდა იყვნენ მადლიერებით. ჩვენი ცხოვრების მანძილზე ჩვენ დავრწმუნდით მადლიერებისა და ბედნიერების ურთიერთკავშირში. თვითოეულ ჩვენთაგანს სურვილი აქვს იყოს მადლიერი, თუმცა ავადმყოფობის, იმედის გაცრუების, საყვარელი ადამიანის გარდაცვალებისას ჩვენთვის ეს არ არის ადვილი. ასეთ პერიოდებში რთულია გავიაზროთ ჩვენს ცხოვრებაში არსებული დალოცვები, და ვიყოთ მადლიერნი იმ დალოცვებისთვის, რომლებიც ღმერთმა მომავლისთვის შემოგვინახა.

ადვილი არ არის გაიაზრო, თუ რამდენად დალოცვილი ხარ, რადგან ადამიანის ჩვევაა ყოველი სიკეთე მიიღოს ისე, თითქოს ეს თავისთავად ასე უნდა იყოს. როდესაც ვკარგავთ საცხოვრებელს, მეგობრების ან ოჯახის წევრების სითბოს, ვრჩებით ულუკმაპუროდ, მხოლოდ მაშინ ვხვდებით, თუ რაოდენ მადლიერნი უნდა ვყოფილიყავით იმ დროს, როდესაც ეს ყველაფერი გვქონდა.

ზოგჯერ ყველაზე მეტად გვიჭირს ვიყოთ მადლიერნი ყველაზე დიდი ძღვენისათვის, როგორიცაა: იესო ქრისტეს დაბადება, მისი გამოსყიდვა, ჩვენი აღდგომის და ჩვენი ოჯახების მარადიული ცხოვრების დაპირება, სახარების აღდგენა თავისი მღვდლობითა და გასაღებებით. მხოლოდ სული წმინდის დახმარებით შეგვიძლია შევიგრძნოთ თუ რას ნიშნავს ეს დალოცვები ჩვენთვის და მათთვის, ვინც ჩვენ გვიყვარს. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია ვიქონიოთ მადლიერების იმედი და არ შევურაცხყოთ ღმერთი ჩვენი უმადურობით.

ჩვენ ლოცვაში უნდა ვთხოვოთ ღმერთს, რომ სული წმინდის მეშვეობით დაგვანახოს ყველა ის დალოცვა, რისთვისაც მადლიერნი უნდა ვიყოთ, განცდებში ყოფნის დროსაც კი. მას შეუძლია სული წმინდის დახმარებით დაგვანახოს ის დალოცვები, რომლებსაც ცხოვრების ბუნებრივ წესად ვღებულობთ და მათთვის ღმერთის მადლიერნი არ ვართ. მე ყველაზე მეტად მეხმარება ის, რომ ლოცვაში მივმართავ ღმერთს და ვთხოვ: „მანიშნე ის ადამიანი, ვისაც ჩემი ხელით

უნდა დაეხმარო“. ამით მე ღმერთს ვეხმარები სხვების დალოცვაში და საკუთარ დალოცვებსაც უკეთესად ვხედავ.

ერთხელაც ასეთ ლოცვაზე მივიღე პასუხი: ჩემთვის უცნობმა შეუღლებულმა წყვილმა მთხოვა, საავადმყოფოში მისვლა. იქ რამოდენიმე კვირის ჩვილი დამხვდა. ის იმდენად პატარა იყო, რომ ხელის გულზეც დამეტეოდა. ბავშვს უკვე ბევრი ოპერაცია ჰქონდა გადატანილი, მაგრამ წინ კიდევ ერთი, უფრო სერიოზული ქირურგიული ჩარევა ელოდებოდა. სიცოცხლის შესანარჩუნებლად ამ პატარა ღვთის შვილს ესაჭიროებოდა ოპერაცია გულზე და ფილტვზე.

მშობლების თხოვნით მე ბავშვს კურთხევა მივეცი. ამ კურთხევაში დავპირდი, რომ პატარას სიცოცხლე გაუხანგრძლივდებოდა. ამ კურთხევის შედეგად მე თვითონაც მივიღე დალოცვა,–ჩემს გულს მადლიერება შეემატა.

მამა ზეციერის დახმარებით ჩვენ ყველას შეგვიძლია გავაკეთოთ არჩევანი ვიყოთ უფრო მადლიერნი. ჩვენ შეგვიძლია ვთხოვოთ მას დაგვეხმაროს ჩვენი დალოცვების უკეთ დანახვაში, ნებისმიერ პირობებში. პირადად მე იმ დღეს ისე, როგორც არასდროს, ვიგრძენი მადლიერება ისეთ საოცრებაზე, როგორიცაა ჯანმრთელი გული და ფილტვები. სახლში რომ ვბრუნდებოდი, გზაში მადლობას ვუხდიდი ღმერთს ჩემი შვილების დალოცვებისთვის, რომლებიც, როგორც ეხლა უკვე კარგად მესმოდა, მათ ღვთისა და მათ ირგვლივ მყოფი კარგი ადამიანების მადლით ჰქონდათ.

ყველაზე მეტად მე მადლიერი ვიყავი იმისთვის, რომ ქრისტეს მიერ გაღებული მსხვერპლი თავს იჩენს, როგორც იმ მშობლების ცხოვრებაში, ასევე ჩემშიც. მათი სახე, მიუხედავად ამ გასაჭირისა, ქრისტეს სიყვარულითა და იმედით იყო განათებული. მე აშკარად ვიგრძენი, რომ თუკი სთხოვ ღმერთს, ის აუცილებლად გაგიზიარებს ცოდნას იმაზე, რომ ქრისტეს მსხვერპლგაღებას მოაქვს იმედი და სიყვარული.

ჩვენ ყველას შეგვიძლია გავაკეთოთ არჩევანი,-ლოცვაში მადლიერება გამოვუხატოთ ღმერთს და ვთხოვოთ მიგვითითოს ის გზა, რომლითაც შევძლებთ ვემსახუროთ სხვებს — განსაკუთრებით წელიწადის ამ დროს, როდესაც ჩვენ ვზეიმობთ ქრისტეს შობას. მამა ზეციერმა გვიბოძა თავისი ძე, იესო ქრისტემ კი გვიბოძა ყველა ძღვენზე ძვირფასი ძღვენი–მსხვერპლგაღება (იხ.მოძღვრება და აღთქმები 14:7).

ლოცვაში მადლიერების გამოხატვა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ დავინახოთ ჩვენი დალოცვების სიდიადე და მაშასადამე მივიღოთ საჩუქრად უფრო მადლიერი გული.

ამ მოწოდების სწავლება.

როდესაც, ჩვენ დალოცვების სიას ვადგენთ, ამით მათ უკეთ ვაცნობიერებთ და ვიმახსოვრებთ. მათ, ვისაც ასწავლით, ჩამოაწერინეთ ის, რისთვისაც ისინი არიან მადლიერები. ეს დაეხმარება მათ დაიმახსოვრონ უკვე მიღებული დალოცვები, ამოიცნონ დღევანდელი დალოცვები და მოუთმენლად ელოდონ მომავლის ლოცვა — კურთხევებს.

თქვენ აგრეთვე შეგიძლიათ ურჩიოთ მათ, ვისაც ასწავლით, გამოიყენონ პრეზიდენტ აირინგის რჩევა,–სთხოვონ მამაზეციერს მიუთითოს მათ ვინმე, ვისაც სჭირდება მათი დახმარება.

ახალგაზრდები

ისწავლეთ მადლიერება

ჯონ ჰილტონ III და ენტონი სვიტი

მოდით არა მხოლოდ ვისაუბროთ ლოცვა–კურთხევებზე, არამედ ჩამოვთვალოთ ისინი. ჩამოწერეთ მადლიერების 100 ფაქტი. თუ ეს თქვენთვის ბევრია, სცადეთ ასეთი რამ:

1. დაწერეთ თქვენი ფიზიკური მდგომარეობის 10 ფაქტი, რისთვისაც მადლიერნი ხართ.
2. დაწერეთ მატერიალური მდგომარეობის 10 ფაქტი, რისთვისაც მადლიერნი ხართ.
3. დაწერეთ 10 თქვენს გარემოში მყოფი ადამიანის სახელი, ვისიც მადლიერნი ხართ.
4. დაწერეთ 10 გარდაცვლილი ადამიანის სახელი, ვისიც მადლიერნი ხართ.
5. დაწერეთ ბუნებაში არსებული 10 ფაქტი, რისთვი საც მადლიერნი ხართ.

6. დაწერეთ თქვენს დღევანდელ ცხოვრებაში არსებული 10 ფაქტი, რისთვისაც დღეს მადლიერნი ხართ.
7. დაწერეთ დედამიწაძე არსებული 10 ადგილი, რისთვისაც მადლიერნი ხართ.
8. დაწერეთ 10 თანამედროვე გამოგონება, რისთვი საც მადლიერნი ხართ.
9. დაწერეთ კვების 10 ნაირსახეობა, რისთვისაც მადლიერნი ხართ.
10. დაწერეთ 10 რამ სახარებაზე, რისთვისაც მადლიერნი ხართ.

როდესაც, ასეთ ჩამონათვალს გავაკეთებთ ჩვენ აღმოვაჩენთ, რომ ეს 100 ფაქტი ყველა ჩვენი ღმერთის მიერ მოცემული დალოცვის, მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია.

© 2011 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/10. თარგმანი დამტკიცებულია: 6/10. თარგმანი *First Presidency Message, December 2011*. Georgian. 09772 131

მოქმედების ფართო სფერო

შეისწავლეთ ეს მასალა და საჭიროებისამებრ განიხილეთ ის დებთან, ვისაც სტუმრობთ. დაუსვით შეკითხვები, რათა შესძლოთ თქვენი დების განმტკიცება და ასევე იმისათვის, რომ მოწყალების საზოგადოება გახდეს თქვენი ცხოვრების აქტიური ნაწილი.

რწმენა • ოჯახი • მოწყალება.

უფალს, მის ეკლესიას, ოჯახებს, საზოგადოებას სჭირდება პატიოსანი ქალების გავლენა. თორმეტ მოციქულთა ქვორუმის უხუცესმა რასელ ბალარდმა გვასწავლა, რომ „ეკლესიაში ყოველ დას, რომელსაც უფალთან დადებული აქვს აღთქმა, გააჩნია ღვთაებრივი დავალება სულების გადარჩენაში, ქალების ხელმძღვანელობაში, სიონის ოჯახების გაძლიერებაში და ღვთის სასუფევლის აშენებაში“.[1]

ზოგი და ფიქრობს იმაზე, შეძლებს თუ არა ამისთანა ამაღლებული მიზნის მიღწევას. როგორც მოწყალების საზოგადოების მეორე მრჩეველმა, ელიზა რ. სნოუმ აგვიხსნა „არ არის და, რომელიც ისე განმარტოვებულია და მოქმედების ისეთი ვიწრო სფერო აქვს, რომ ვერ შეძლოს თავისი დიდი წვლილის შეტანა დედამიწაზე ღვთის სასუფევლის აშენებაში“.[2] და სნოუმ აგრეთვე აღნიშნა, რომ მოწყალების საზოგადოება დაარსდა „ყოველი კარგი და კეთილშობილი საქმის შესასრულებლად“.[3]

როდესაც, ჩვენ აქტიურად ვმონაწილეობთ მოწყალების საზოგადოების ცხოვრებაში ჩვენ ამით ვაფართოვებთ ჩვენი გავლენის სფეროს და თითოეულ დას ვაძლევთ საშუალებას გაზარდოს რწმენა, გააძლიეროს ოჯახი და მსახურება გაუწიოს სხვებს, როგორც სახლში, ასევე მთელს მსოფლიოში. საბედნიეროდ, ამისთვის არ გვჭირდება დიდი ძალისხმევა. ყოველდღიური პირადი და ოჯახური ლოცვა, წმინდა წერილების შესწავა და ჩვენი საეკლესიო მოწოდებში მსახურება დაგვეხმარება რწმენის გაძლიერებაში და უფლის სასუფევლის აშენებაში.

იმ დებს, რომლებსაც ეჭვი ეპარებათ იმაში, რომ ასეთი „უმნიშვნელო“ წვლილის შეტანას შეუძლია გამოიწვიოს რაიმე ცვლილებები, უხუცესი ბალარდი პასუხობს: „ყოველი და, რომელიც ირჩევს სიმართლეს და პატიოსნებას, ამცირებს ბოროტების ზეგავლენას. ყოველი და, რომელიც აძლიერებს ოჯახს და იცავს თავის ოჯახს, ღმერთის სამსახურში დგას. ყოველი და, რომელიც ღვთის მსახურია,სხვებისთვის შუქურაა. ის პატიოსანი გავლენის ნერგებს რგავს და მათი ნაყოფი წლების განმავლობაში ხილს ისხავს.“[4]

ჩვენი ისტორიიდან

როდესაც, ნავუში მოწყალების საზოგადოება დაარსდა, ელიზა სნოუ ამ საზოგადოების მდივანი გახლდათ. პრეზიდენტ იანგმა მას მოუხმო ემოგზაურა იმ ადგილებში, სადაც ეკლესია არსებობდა, რათა დახმარებოდა ეპისკოპოსებს მათ მეურვეობებში მოწყალების საზოგადოების დაარსებაში.

და სნოუ გვასწავლიდა: „თუ აქამდე რომელიმე და ან დედა იზრაელში განიცდიდა შეზღუდვას თავის მოქმედების სფეროში, ამიერიდან მას ეხსნება საზვრები ყველა იმ კეთილი საქმის განსახორციელებლად, რომლისთვისაც ისინი უხვად არიან ზეციდან დაჯილდოვებულნი . . . პრეზიდენტ იანგმა მოქმედების ფართო და სასარგებლო სფეროს გასაღები გადმოგვცა.“[5]

მენიმვნები

1. მ. რასელ ბალარდი, “Women of Righteousness,” *Liahona,* დეკემბერი 2002, გვ.39.
2. ელიზა რ. სნოუ, “An Address,” *Woman's Exponent,* სექტემბერი 15, 1873, გვ.62.
3. ელიზა რ. სნოუ, “Female Relief Society,” *Deseret News,* აპრილი 22, 1868, გვ.81.
4. მ. რასელ ბალარდი, *Liahona,* დეკემბერი 2002, გვ.39
5. ელიზა რ.სნოუ, *Deseret News,* აპრილი 22, 1868, გვ.81

წმინდა წერილებიდან

1 კორინთელთა 12:4– 18; 1 ტიმოთე 6:18–19; მოსია 4:27; რწმენის სიმბოლოები 1:13

რა შემიძლია გავაკეთო?

1. როგორ შემიძლია დავეხმარო დებს, რომლებსაც ვსტუმრობ, გაათვითცნობიერონ და გამოიყენონ მათი პატიოსნების გავლენის უნარი?

2. როგორ შემიძლია სხვების დალოცვისთვის, გამოვიყენო ჩემი განსაკუთრებული ნიჭი?

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებგვერდი www.reliefsociety.lds.org.

© 2011 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/10. თარგმანი დამტკიცებულია: 6/10. თარგმანი *Visiting Teaching Message, December 2011*. Georgian. 09772 131